სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

მატჩი	ბათუმის „ბათუმი“ - თბ „აკადემია“		
გუნდი	თბ „აკადემია“	შეჯიბრი	ჭაბუკთა „ბ“ ლიგა
მატჩის თარიღი	08/12/2023	მატჩის ადგილი	ბათუმი
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
პიროვნება, სტატუსი		დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი	თბ „აკადემია		
☐მატჩის ოფიციალური პირი ☒პიროვნება	ჭაბუკთა „ა“ ლიგის მენეჯერი - დიმიტრი ობოლაძე	დარღვევა	☒ აღიარებულია ☐ უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია - დანართი #3: ფიქსირებული სანქციები, 1. სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მიერ წინასწარ დანიშნულ მატჩში მონაწილე, რომელიმე და/ან ორივე, გუნდის თამაშზე არ გამოცხადება საპატიო მიზეზ(ებ)ის გარეშე და/ან სრკ-ს საშეჯიბრო დებულების 7.1 (მატჩზე 12-ზე ნაკლები მოთამაშით გამოცხადება) პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევა.	☐ წითელი ბარათი ☐ საითინგი ☒ სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ : **ჭაბუკთა „ა“ ლიგის მენეჯერის, დიმიტრი ობოლაძის წერილი;**	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	19/12/2023	**განხილვის ადგილი**	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ირაკლი ჩიქავა, ედუარდ ნაჭყებია		
დამრღვევის დასწრება	☐ **კი** ☐ **არა**	სხვა დამსწრეები : ☐ კი ☐ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი		აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	ჭაბუკთა „ა“ ლიგის მენეჯერის, დიმიტრი ობოლაძის წერილი;		

დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. ჭაბუკთა „ა“ ლიგის მენეჯერის, დიმიტრი ობოლაძის წერილი;
2. თბ „აკადემია“-ს პრეზიდენტის, მიხეილ კობახიძის ელ.ფოსტა (14/12/2023)

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

თბ „აკადემია“-ს პრეზიდენტმა, მიხეილ კობახიძემ გუნდის თამაშზე არგამოცხადების მიზეზად დაასახელა მოთამაშეთა არასაკმარისი რაოდენობა ტრავმების გამო.

ფაქტობრივი მოცემულობა და მსჯელობა

1. 08/12/2023 სრკ-ს საშეჯიბრო სამსახურის მიერ დანიშნული იყო ჭაბუკთა „ა“ ლიგის X ტურის მატჩი ბათუმის „ბათუმი“-სა და თბ „აკადემია“-ს შორის.
2. ჭაბუკთა „ა“ ლიგის მენეჯერის დიმიტრი ობოლაძის წერილის მიხედვით - მატჩი არ შედგა თბ „აკადემია“-ს არ გამოცხადების გამო.
3. თბ „აკადემია“-მ ვერ წარმოადგინა თამაშზე არ გამოცხადების საპატიო მიზეზ(ებ)ი.

მსჯელობა

სადისცპლინო კომისიამ სხდომაზე წარმოდგენილი მტკიცებულებების განხილვის შემდეგ დადგენილად ცნო თბ „აკადემია“-ს მიერ სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია - დანართი #3-ს ფიქსირებული სანქციები: 1-ლი პუნქტის დარღვევა და მიიღო

გადაწყვეტილება

1. თბ „აკადემია“-ს ჩაეთვალოს წაგება, დააკლდეს 3(სამი) საცხრილო ქულა ჭაბუკთა „ა“ ლიგის საშეჯიბრო ცხრილში და დაჯარიმდეს 500(ხუთასი) ლარით.
2. კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7(შვიდი) კალენდარულ დღეში გადაუხდელობის შემთხვევაში თბ „აკადემია“-ს ჭაბუკთა „ა“ ლიგის საშეჯიბრო ცხრილში დამატებით დააკლდება 2(ორი) საცხრილო ქულა.
3. ბათუმის „ბათუმს“ ჩაეთვალოს მოგება, მიენიჭოს 5(ხუთი) საცრილო ქულა ჭაბუკთა „ა“ ლიგის საშეჯიბრო ცხრილში და ანგარიში დაფიქსირდეს 30:0 მის სასარგებლოდ.

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	თარიღი	19/12/2023

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.**